FROM THE HISTORY OF THE ARRIVAL OF THE TRUR CROSS IN GEORGIA
საქართველოში ცხოველმყოფელი ჯვრის ჩამობრძანების ისტორიიდან

GIORGI SOSIASHVILI
Doctor of History,
Member of the Georgian National Academy of Sciences,
Professor of Gori State University,
#53, Chavchavadze st., 1400, Gori, Georgia,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

Abstract. There are numerous legends surrounding the divine tree from which the cross—used in the crucifixion of Jesus Christ, the incarnate Savior of humanity—was carved. This is no coincidence. From the early days of Christianity, this sacred tree became an object of deep reverence among believers, who attributed many miracles to it. According to Georgian tradition, the origin of the biblical tree is linked to the site where the Holy Cross Monastery in Jerusalem would later be established. However, other traditions associate the divine tree with either the biblical figure Adam or the legendary Jewish king Solomon. Church tradition credits the discovery of the Life-giving Cross to Helena (248/250–330 AD), the mother of Byzantine Emperor Constantine the Great, known for her devout faith and her kindness toward Christians. It was she who uncovered both the True Cross and the tomb of Jesus on Golgotha around the years 326–328 AD. In the years that followed, relics of the True Cross were dispersed across many countries, with fragments preserved in Orthodox, Catholic, and Protestant churches. A piece of the Life-Giving Cross reached Georgia shortly after the country embraced Christianity.

The Christian legend of the felling of the sacred tree in Mtskheta is believed to have been inspired by the biblical narrative of the cutting of the tree. According to tradition, a portion of the True Cross was sent to Georgia by the Byzantine Emperor Constantine. One fragment was destined for Mtskheta, a significant sacred site, while another piece, known as the "Footstool," was kept in Manglisi. Later, this latter relic was taken by Emperor Heraclius; however, a part of it remained in Georgia and was eventually incorporated into the Cross of King David the Builder.

Key words: Life-giving Cross; Holy Tree; Mtskheta; Saint Nino; King Mirian; Emperor Constantine.

გიორგი სოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ. #53, 1400, საქართველო,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

აბსტრაქტი. ღვთაებრივი ხის შესახებ, რომლისაგან გამოთლილ ჯვარზე კაცობრიობის მხსნელი, განკაცებული მაცხოვარი იესო ქრისტე აწამეს, მრავალი ლეგენდა არსებობს და ეს შემთხვევითი არ არის. ასეთი სიწმინდე ქრისტიანობის გავრცელებისთანავე მორწმუნეთა მხრიდან დიდი ყურადღების ცენტრში მოექცა და მას ჯვარცმული იესოს მიმდევრები მრავალ სასწაულს მიაწერდნენ. ქართული ტრადიციით, ბიბლიური ხის აღმოცენება იმ ადგილს უკავშირდება, სადაც შემდგომში იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი აშენდა, თუმცა არსებობს სხვა გადმოცემებიც, რომლებიც ღვთიურ ხეს ბიბლიურ ადამთან, ან ებრაელთა ლეგენდარულ მეფესთან-სოლომონთან აკავშირებს. მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის აღმოჩენას საეკლესიო ტრადიცია ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინეს დედის-ელენეს (248/250-330 წ.წ.) სახელს მიაწერს, დედოფალს, რომელიც განსაკუთრებული ღვთისმოსაობით და ქრისტიანებისადამი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა. სწორედ მან მიაგნო გოლგოთაზე მაცხოვრის წმინდა ჯვარს და იესოს საფლავს. ეს ფაქტი დაახლოებით 326-328 წლებში მოხდა. მოგვიანებით, წმინდა ჯვრის ნაწილები არაერთ ქვეყანაში განიბნა. სიწმინდის ფრაგმენტები ინახებოდა მართლმადიდებელ, კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში. ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილმა საქართველოში, ქვეყნის გაქრისტიანებისთანავე დაივანა.

მცხეთაში წმინდა ხის მოჭრის ქრისტიანული თქმულება ბიბლიური ხის გავლენით შეიქმნა. ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს მიერ საქართველოში გამოგზავნილი ჭეშმარიტი ჯვრის ნაწილი ქართლის სატახტო ქალაქში, ამ უდიდეს საკრალურ ადგილზე დააბრძანეს, ხოლო მეორე -„ფიცარნი ფერხთა“კი ინახებოდა მანგლისში, რომელიც შემდეგ ჰერაკლე კეისარმა წაიღო, თუმცა, როგორც ჩანს, ის დანაწევრებული იყო და, მოგვიანებით, მისი ერთი ნაწილი დავით აღმაშენებლის გულსაკიდ ჯვარში ჩაუტანებიათ.

საკვანძო სიტყვები: ცხოველმყოფელი ჯვარი; წმინდა ხე; მცხეთა; წმინდა ნინო; მირიან მეფე; იმპერატორი კონსტანტინე.

შესავალი. ღვთაებრივი ხის შესახებ, რომლისაგან გამოთლილ ჯვარზე კაცობრიობის მხსნელი, განკაცებული მაცხოვარი იესო ქრისტე აწამეს, მრავალი ლეგენდა არსებობს და ეს შემთხვევითი არ არის. ასეთი სიწმინდე ქრისტიანობის გავრცელებისთანავე მორწმუნეთა მხრიდან დიდი ყურადღების ცენტრში მოექცა და მას ჯვარცმული იესოს მიმდევრები მრავალ სასწაულს მიაწერდნენ. ქართული ტრადიციით, ბიბლიური ხის აღმოცენება იმ ადგილზე მოხდა, სადაც შემდგომში იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი აშენდა, თუმცა არსებობს სხვა გადმოცემებიც, რომლებიც ღვთიურ ხეს ბიბლიურ ადამთან, ან ებრაელთა ლეგენდარულ მეფესთან - სოლომონთან აკავშირებს.

მეთოდები. მიმდინარე კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებული კვლევის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, მიზეზობრივ-შედარებით ანალიზს, სინთეზს, აბსტრაქციას, კონტენტანალიზს და სისტემურ ანალიზს.

შედეგები და მსჯელობა. მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის აღმოჩენას საეკლესიო ტრადიცია ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინეს დედის-ელენეს (248/250-330 წ.წ.) სახელს მიაწერს, დედოფალს, რომელიც განსაკუთრებული ღვთისმოსაობით და ქრისტიანებისადამი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა. სწორედ მან მიაგნო გოლგოთაზე მაცხოვრის წმინდა ჯვარს და იესოს საფლავს. ეს ფაქტი დაახლოებით 326-328 წლებში მოხდა. მოგვიანებით, წმინდა ჯვრის ნაწილები არაერთ ქვეყანაში განიბნა. სიწმინდის ფრაგმენტები ინახებოდა მართლმადიდებელ, კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში. ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილმა საქართველოში, ქვეყნის გაქრისტიანებისთანავე დაივანა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სადაც აღნიშნულია, რომ პირველ ქართველ ქრისტიან მეფეს, მირიანს კონსტანტინე კეისარმა (272-337 წ.წ.) ძღვნად გამოუგზავნა „ფერხთა ფიცარნი“. მატიანეში ვკითხულობთ: „და წარავლინნა მირიან მეფემან ითხოვნა საბერძნეთით ქვისა მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცნა მეფემან და წარმოვიდეს ერუშეთს. დადვეს საძირკუელი ეკლესიისა.[ჲ] და დაუტევეს ფერხთა ფიცარნი მაცხოვრისანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი და წარმოვიდეს მანგლისს და დადვეს საძირკველი ეკლესიისა და დაუტევნეს სამსჭუალნი და ესრეთ მოვიდეს მცხეთას. და იწყო მეფემან შენებად ქვათა ეკლესიისა გარეუბნისასა. და ვითარ ცნა მეფემან, რამეთუ დადგეს საძირკუელი პირველ ერუშეთს და მანგლისსა და დაუტივნეს მუნ სასურვ(ე)ლნი იგი ფიც(ა)რნი და სამსჭუალნი, აღივსო ურვითა და დააყენა საქმე მოსწრაფებისა, ვიდრე არა ისწ(ა) მთავარ ეპისკოპოსისაგ(ა)ნ, ვითარმედ: „შენ თანა არს ამ(ა)ს ქალაქს შინა სამოს(ე)ლი ქრისტესი ყოლად ზეგარდ(ა)ამო ქსოვილი, რომელი ჯუარის მცუმელთა მათ განიყვეს, და კუართი იგი ამათ იხუედრეს, ჩრდილოსა ამ(ა)ს ქალაქსა შინა დაფარეს, და აწ შვილნი მათნი არიან, ვინ უწყის, თუ ადგილიცა იცოდენ. ხოლო ჟამი მისი მერმე არს. ოდეს გამოჩნდეს დიდებით ქუეყანასა ზედა. ეგრ(ე)თვე ხალენი ელია[ი]სი აქვე დამარხულს არს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963: 86-87). ამ ცნობიდან ირკვევა, რომ კონსტანტინე იმპერატორმა ქართლის მეფეს, მირიანს გამოუგზავნა ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი - „ფიცარნი“ და ასევე წმინდა სამსჭვალნი. ეს სიწმინდენი ერუშეთსა და მანგლისში მეფის დაუკითხავად დაუბრძანებიათ, რამაც მირიანი გაანაწყენა, თუმცა ქართლის მთავარეპისკოპოსმა მას უამბო, რომ სატახტო ქალაქში ინახებოდა არანაკლები მნიშვნელობის სიწმინდეები, მათ შორის მაცხოვრის კვართი და წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი, რამაც მეფე დაამშვიდა. ეს ინფორმაცია მირიან მეფეს მცხეთელმა ებრაელებმაც დაუდასტურეს. იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ვიდრე კონსტანტინე დიდი ქართლის მეფეს ეკლესიის მშენებლებს და სიწმინდეებს („ფერხთა ფიცარნი“ და „სამსჭუალნი“) გამოუგზავნიდა, მანამდე ბიზანტიის იმპერატორის ნებართვით კონსტანტინოპოლიდან ქართლში რამდენიმე სასულიერო პირი ჩამოვიდა. სწორედ ამ დროს ჩამოაბრძანეს ბიზანტიიდან ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი საქართველოში. მატიანეში ვკითხულობთ: „...წარავლინნა ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი. და ხატი მაცხოვრისა[ჲ] და ძელი ცხოვრებისა[ჲ] და სხუაი წიგნები ელენე დედოფლისა[ჲ] ნინო[ჲ]სთვს, და წარვიდეს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963: 86). როგორც ტექსტიდან ჩანს, ძელი ცხოველის, ანუ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი ქართლში მყოფ ნინოსთან ელენე დედოფალმა გამოატანა, ხოლო მოგვიანებით, როგორც აღვნიშნეთ, „ფერხთა ფიცარი“ და წმინდა სამსჭვალები კონსტანტინემ მირიანს გამოუგზავნა. სიწმინდეთაგან ქრისტეს სამსჭვალები მანგლისში დააბრძანეს, ხოლო „ფერხთა ფიცარი“ ერუშეთში. ძელი

ცხოველის ნაწილის, „ფერხთა ფიცარის“ და ქრისტეს სამსჭვალების საქართველოში ჩამობრძანების შესახებ განსხვავებული ცნობა აქვს ლეონტი მროველს (XI ს.): „მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთისმოყუარესა ელენე დედოფალსა. და ითხოვნა მღდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელს-ცემდენ ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ-იღოს ყოველმან სულმან ქართლისამან და ითხოვნა ქვით-ხურონი აღშენებისათვს ეკლესიათა. ვითარ მიიწევნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დასმჭვალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ხელთანი. და წარმოაგზავნნა მღდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი: რამეთუ კოსტანტინე მეფემან მეფობისა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია ტაძარი ღმრთისა ხუთასი. და მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: :სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭნი ესე დაამკჯდრენ ქალაქთა ქართლისათა. და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქვან ერუშეთი, და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიისა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 117-118).

ლეონტი მროველის ინფორმაციით, კონსტანტინე იმპერატორმა მირიან მეფის მიერ წარგზავნილ იოანე ეპისკოპოსს ქართლის მეფესთან ძღვნად გამოატანა ძელი ცხოვრების ნაწილი, ორი სამსჭვალი და ფიცარი, რომელზეც მაცხოვარს ფეხები დაულურსმნეს. კონსტანტინემ იოანე ეპისკოპოსსა და მის მხლებლებს სთხოვა, რომ როცა ისინი ქართლის ტერიტორიაზე შემოვიდოდნენ, პირველად სადაც ფეხს დააბიჯებდნენ, ტაძარი იქ აეშენებინათ. იოანე მართლაც ასე მოიქცა. მან იმპერატორს თხოვნა შეუსრულა. ლეონტი მროველის ცნობით: „ვითარ მოაწიეს ადგილსა, რომელსაც ჰქვნ ერუშეთი, და დაუტევა ხურონი საქმედ ეკლესიისა.“ აქ იოანემ სამსჭუალნი[1] დააბრძანა. ტაძარი ააშენა მან ასევე მანგლისში, სადაც „დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“. (ქართლის ცხოვრება, 1955: 118) თუმცა, „ნაწილი ძელისა ცხოვრებისა“ სად იქნა დაბრძანებული, ეს ლეონტი მროველის თხზულებიდან არ ჩანს. ძელი ცხოველის და „ფიცარნი ფერხთას“ საქართველოში ჩამობრძანების შესახებ წერს XII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე, საქართველოს

[1] ე. ბუბულაშვილის კვლევის მიხედვით, ქართლის გაქრისტიანების დროს, იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ქართლის მეფეს ძღვნად გადაეცა ქრისტეს ორი სამსჭვალი, რომლებიც მანგლისში დააბრძანეს. აქედან ერთ-ერთი, მეშვიდე საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ საქართველოდან გაიტანა, რომელიც დაბრუნებულ იქნა ბაგრატ IV-ის (1027-1072 წ.წ.) დროს, როცა მან ბიზანტიის იმპერატორის, რომან III (968-1034 წ.წ.)არგიროსის ძმის, ბასილის ასულზე, ელენეზე იქორწინა და საცოლეს ეს უდიდეს სიწმინდე მზითვში გამოატანეს. დაბრუნებული სამსჭვალი ხან ბედიის ტაძარში ინახებოდა, ხან წალენჯიხაში, ხანაც-ქუთაისში. მას შემდეგ რაც ვახტანგ V (1658-1675 წ.წ.) შაჰნავაზის ვაჟმა-არჩილმა საქართველო სამუდამოდ დატოვა და რუსეთში გაემგზავრა, მან თან წაიღო ის სამსჭვალი, რომელიც თავის დროზე ჯერ მანგლისში იყო დაბრძანებული, მოგვიანებით კი-თბილისში. არჩილის მიერ წაღებულმა სამსჭვალმა დიდი თავგადასავლის შემდეგ ბინა დაიდო მოსკოვთან ახლოს-ვსესვიატსკოეში, არჩილის სასახლის კარის ეკლესიაში. თუმცა, არჩილ მეფის გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად მეფის ქვრივის-ეკატერინეს მცდელობისა, რომ სიწმინდე საქართველოში დაებრუნებინა, ეს ვერ მოხერხდა. უფლის სამსჭვალი რუსეთის იმპერატორის, პეტრე პირველის(1672-1725 წ.წ.) განკარგულებით რუსეთში დარჩა. ის ერთხანს მოსკოვის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის საცავში ინახებოდა, ამჟამად კი კრემლის მუზეუმშია დაცული(ბუბულაშვილი, 2006: 98-107).

კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერისძე.[2] მისი ცნობით, კონსტანტინეს კარზე, ბიზანტიის სატახტო ქალაქში, მირიან მეფემ თავისი წარმომადგენლები გაგზავნა და ქრისტიანობის მიღების, ასევე ტაძრის აგების(სვეტიცხოველის) შესახებ ამცნო. მირიანის წარმომადგენლებმა ბიზანტიის იმპერატორს ქართლის მეფის წერილიც გადასცეს. მირიანის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევით გახარებულმა კონსტანტინემ ქართლში თავისი მოციქულები გამოგზავნა, მათვე გამოაყოლა ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკვანი. იმპერატორის მიერ საქართველოში მოვლენილ პირებს ძვირფასი ძღვენიც წამოუღიათ. ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით შემკული ჯვარი(ოღონდ არა ძელი ცხოველის ნაწილი) და მაცხოვრის ხატი, ასევე სხვა მრავალი საჩუქარი. მცირე დროის შემდეგ მირიანმა იოანე ეპისკოპოსი კვლავ გაგზავნა ბიზანტიაში. ნიკოლოზ გულაბერისძე ამის შესახებ წერს: „და ესე უკუჱ საცნაურ არს, რომელ იოანე კუალადცა წარგზავნეს წინაშე მეფისა კონსტანტინესსა, ჭეშმარიტისა ძელისათვს ვითარცა აჰა აწ ესერა წერილ არს, ვითარმედ მეფემან მირიან წარავლინა კუალადცა ეპისკოპოზი იოანე კოსტანტინე მეფისა და მისთანა ერთი წარჩინებულთაგანი მთავარი თხოვად რათა მიანიჭოს ნაწილი ძელი ცხოვრებისა, რომელიცა უკუე თჳთ მებრ მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღუთის მოყუარესა დედოფალსა ელენეს და ითხოვნნა მღუდელნიცა მრავლად, რათა არა ვისისა სულისა განხუჱბაჲ იქმნას თჳნიერ ნათლისცემისა და ყოველმან ერმან ქართლისამან ნათელ იღოს; და ითხოვნა ქჳთ ხურონიცა აღშენებისათვთს ეკკლესიისა. ხოლო ღუთის მსახურმან მეფემან და მხურვალემან ტრფიალმან საღმრთოთა საქმეთამან, სიხარულით უკუჱ მიანიჭა ნაწილი ძელისა ჩუენისა იესო ქრისტესნი და წარმოუკუჱატანნეს მღუდელნი და ხურონიცა და რაჲ ენება ყოველივე უკუჱ სათხოვარი აღუსრულა ყოვლად საღმრთომან მან დიდმან სანატრელმან მეფემან და ვითარცა წარმოვიდა ეპისკოპოზი იოანე და მისთანა მოციქულნი, მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰრქვიან ერუშეთი და მუნ დაუტევნა ქვთ ხურონი იგი საქმედ ეკკლესიისა და სამსჭუალნი იგი უფლისანი დავეუტევნა და წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო მუნცა ეკკლესიისა შენებად და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი; ხოლო ვითარცა ცნა ესე მირიან მეფემან ფრიად შეწუხნაჲ, რომელ არა პირუჱლად სამეფოსა ქალაქსა მოვიდეს, რათამცა პირუჱლად მუნ ეწყო შენებად ეკკლესიათა“ (საბინინი, 2010: 98). როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ გულაბერისძე იმეორებს ლეონტი მროველის ცნობას, რომლის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ მირიან მეფეს გამოუგზავნა ძელი ცხოვრებისა და „ფიცარი ფერხთა“, რომელიც მანგლისში დააბრძანეს, თუმცა ლეონტი მროველის მსგავსად არც ნიკოლოზ გულაბერისძე აღნიშნავს, სად იქნა დაბრძანებული ქართლში ჩამოტანილი ჭეშმარიტი ჯვრის ნაწილი. ძელი ცხოველის ჩამობრძანებასთან დაკავშირებით განსხვავებული გადმოცემაა შემონახული XII საუკუნის მოღვაწის, არსენ იყალთოელის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა ნინოჲსი.“ საიდანაც ირკვევა, რომ ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ, ქართლის მეფის, მირიანის კარზე ანტიოქიის პატრიარქი-ევსტათი გამოგზავნა, რომელსაც ელენე დედოფალმა წმინდა ნინოსთან ძელი ცხოველის ნაწილი, ასევე მაცხოვრის და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები გამოატანა. ტექსტში ვკითხულობთ: „და ვითარცა შემოვიდა წმიდა იგი პატრიარქი სანახებსა ქართლისასა და თანა აქვნდეს ძელი ცხორებისა და ხატი მაცხოვრისა და ყოვლად-წმიდისა ღმრთისშობლისა, მოეგება მეფე და მთავარნი მისნი და ყოველი სიმრავლე ქალაქისა და ჯეროვნითა პატივითა დიდითა აღიყვანეს პალატად. და მიიღეს კურთხევა მეფემან და დედოფალმან და ყოველმან ერმან. ხოლო პატრიაქმან უბრძანა წინა განმზადებად ნათლის-ღებისათვის. მოვიდა ღირსი ნინოცა და

[2] ნიკოლოზ I გულაბერისძე მოღვაწეობდა საქართველოს მეფის გიორგი III-ის დროს, დაახლ. 1149-1178 წლებში. იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სვიმონ IV-ის ძმისწული. სწორედ მის კალამს ეკუთვნის თხზულება: „საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა.“

მიიღო კურთხევა პატრიაქისაგან, და მანცა ითხოვა ლოცვა ჯეროვანი სიმდაბლით და ქადაგად და მოციქულად და სანატრელად უწოდა. და მისცა წიგნი ელენე დედოფლისა, მოწერილი ნეტარსა ნინოს თანა, ყოვლად-შვენიერი და შემკული და ბრწყინვალე ქებითა და შესხმათა მიერ მახარებელად და მოციქულად წოდებითა, და ნაწილი ძელი ცხორებისა, და ხატი ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა და ყოვლად-წმიდისა დედისა მისისა, რომელნიცა წარმოეგზავნნეს დედოფალსა ელენეს ღირსისა ნინოისსა“ (არსენ იყალთოელი, 1978: 381). ამავე თხზულების მიხედვით, „ფიცარი ფერხთა“ - ცხოველმყოფელი ჯვრის შემადგენელი ნაწილი, დაბრძანებული იყო ერუშეთში, სადაც: „კვალად წარავლინნა მეფემან და შემოკრიბნა ქვით ხურონი და გალატოზნი და უბრძანა პირველად ერუშეთს დადებად საძირკველი ეკლესიისა, სადა-იგი არს ფიცარი ფერხთა მხსნელისათა.“ (არსენ იყალთოელი, 1978: 385) ლეონტი მროველის ცნობას იმეორებს ასევე თეიმურაზ ბატონიშვილი[3] (1782-1846 წ.წ.): „მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოანეჲ და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღუთის მოყუარესა ელენე დედოფალსა. და ითხოვნა მღუდელნი მრავალნი, რათა მსწრაფლ ნათელ-იღონ ყოველმან სულმან ქართლისამან და ითხოვნა ქვით-ხუროსა მოძღუარნი აღშენებისა თჳს ეკკლესიათასა. ვითარცა მიიწივნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა სიხარულით მიანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, ფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხჴნი დაუმსჭვალნენ უფალსა და სამსჭვალნი სულთანი, წარმოგზავნეს მღუდელნი და ხურონი მრავალნი; რამეთუ კონსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა ეკკლესია, ტაძარი წმინდაჲ, და მიჰსცა განძი დიდ-ძალი ეპისკოპოსსა იოანეს და უბრძანა, სადაცა ჯერ იყოს ადგილთა ქართლისათა მუნცა აღაშენენნენ ეკკლესიანი სახელსა ზედა და ნიჭი ესე დიდ-ძალი დამიმკვდრე საზღუართა ქართლისათა. და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული, და ვითარ მოიწივნეს ადგილსა ჰრქვან ერუშეთი, დაუტევნა მუნ ხურონი საქმედ ეკკლესიისა, დაუტევნა განძნი და სამსჭვალნი უფლისანი, და წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს და იწყო შენება ეკკლესიისა და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი. მაშინ შეჰსწუხნა მირიან მეფე, რამეთუ პირველ არა სამეფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხვათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკკლესიისა და დაუტევნეს ნაწილნი. ხოლო მოვიდა წმინდა ნინა და ჰრქუა. ნუ ჰსწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს, სადაცა მივიდოდიან დასთესდიან სახელსა ღუთისასა, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა“ (ბაგრატიონი, 1848: 263-264). თ. ბატონიშვილის თხზულების მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ეყრდნობა, მირიანს მცხეთელმა ებრაელებმა უამბეს მაცხოვრის კვართის ქართლში ჩამობრძანების და სატახტო ქალაქში დაფვლის ამბავი, რამაც სიტუაცია განმუხტა (ბაგრატიონი, 1848: 264).

ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილის საქართველოში ჩამობრძანების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ნ. დადიანი (1847-1903 წ.წ.)[4], მისი ცნობით, იმპერატორმა კონსტანტინემ მირიანს გამოუგზავნა მხოლოდ სამსჭვალი და „ფიცარი ფერხისა“: „და შემდგომად, ოდეს მირიან იქმნა ქრისტიან, კონსტანტინემ მოუწერა წიგნი და წარმოუგზავნა ძე თვისი ბაქარ მირიანს, რომელი ჰყვანდა მძევლად, აუწყა: ვინათგან იცან ჭეშმარიტი მაცხოვარი იესო ქრისტე, აწ არღარა მინდა მძევალი შენიო. და წარმოუგზავნა შვილი თვისი და მასთანა ფიცარი ფერხისა და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ (დადიანი, 1962: 76).

ე. ბუბულაშვილის აზრით, ქართულ წყაროებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და არსენ ბერის თხზულებას, რომლის თანახმად ქართლში შემოტანილ სიწმინდეთაგან მაცხოვრის სამსჭვალები მანგლისში დაუბრძანებიათ.

[3] ქართველი მწერალი და მეცნიერი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ვაჟი.
[4] სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს: „ჩვენ უპირატესობას „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და არსენ ბერის „წმ. ნინოს ცხოვრებას" ვანიჭებთ, რადგან კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ქრისტეს სამსჭვალის ისტორია შემდგომ საუკუნეებში მჭიდროდ უკავშირდება მანგლისის საკათედრო ტაძრის ისტორიას." (ბუბულაშვილი, 2006: 96) ამრიგად, ძირითადი ორი ქართული წყარო(რომელთაც სხვა მემატიანეები ეყრდნობიან), ვგულისხმობთ, ლეონტი მროველის თხზულებას და „მოქცევაჲ ქართლისაჲს," მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის საქართველოში ჩამობრძანებას ქართლის გაქრისტიანებას უკავშირებს.[5] აქედან „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით ძელი ჭეშმარიტი იმპერატორ კონსტანტინეს დედამ-ელენე დედოფალმა ქართველთა განმანათლებელს-ნინოს გამოუგზავნა, ხოლო „ფერხთა ფიცარი"-მირიანს თავად კეისარმა უძღვნა საჩუქრად. ქართლის მეფის ნებართვის გარეშე ეპისკოპოსმა იოანემ აღნიშნული სიწმინდე ერუშეთში დააბრძანა. რაც შეეხება მეორე წყაროს, ლეონტი მროველის თანახმად კონსტანტინემ ძელი ჭეშმარიტის ნაწილიც, „ფიცარი ფერხთა" და ასევე სამსჭვალნი მირიანს გამოუგზავნა, თუმცა სიწმინდეებმა სატახტო ქალაქამდე ვერ ჩააღწია. იოანე ქართლის ეპისკოპოსმა მირიან მეფისაგან დაუკითხავად ერუშეთში დააბრძანა სამსჭვალნი, წუნდას განძი, მანგლისში კი დატოვა „ფიცარნი იგი უფლისანი". რა ბედი ეწია ძელი ჭეშმარიტის ნაწილს ლეონტი მროველის თხზულებაში არ ჩანს. როგორც ირკვევა, მირიანი ძალზე განაწყენდა იმ ფაქტით, რომ კონსტანტინე დიდის მიერ ქართლში გამოგზავნილი სიწმინდეები მისი ნებართვის გარეშე დააბრძანეს ერუშეთსა და მანგლისში. მეფის დამშვიდება წმინდა ნინოს უცდია და ქართლის გვირგვინოსანისთვის შეუხსენებია, რომ მცხეთაში მაცხოვრის სამოსელი იყო დაბრძანებული. მირიანმა წმინდა ნინოს ნაამბობი ქრისტეს კვართის მცხეთაში არსებობის შესახებ აბიათარ მღვდელთან და მცხეთელ ებრაელებთან გადაამოწმა და როდესაც მათგან იგივე ინფორმაცია მიიღო, საბოლოოდ დარწმუნდა (ქართლის ცხოვრება, 1955: 118). საქართველოში ჩამობრძანებული წმინდა ჯვრის ნაწილი-„ფიცარი ფერხთა" მეშვიდე საუკუნის ოციან წლებში ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლე კეისარმა[6] წმინდა ქალაქში, იერუსალიმში დააბრუნა. ამას წინ უძღოდა ირანის შაჰის-

[5] იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ მირიანისათვის არაერთი სიწმინდის, მათ შორის წმინდა ჯვრის ნაწილების გადაცემის შესახებ ქართველი მემატიანეების გარდა, უცხოური წყაროებიც მოგვითხრობენ. მაგ. XVII საუკუნის ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თავის თხზულებაში „წმინდა კოლხეთი" წერს, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ ქართლის გაქრისტიანებულ მეფე მირიანს არაერთი რელიქვია გადასცა, მათ შორის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილებიც: „მაცხოვრის წმინდა ჯვრის არაერთი ნაწილი, რომლებიც კოლხეთისა და იბერიის მრავალ ეკლესიაშია დაცული." (ლამბერტი, 2020: 53)

[6] ჰერაკლემ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი ფოკას (გარდ. 610 წ.) ჩამოგდების შემდეგ 610 წლის 5 ოქტომბერს დაიკავა და იმპერიას 641 წლის 11 თებერვლამდე მართავდა. მისი გამეფებისას ბიზანტია რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფებოდა. ბალკანეთის პროვინციებს სლავები და ავარები უტევდნენ, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებს კი-ირანელები ეპოტინებოდნენ. ჰერაკლე კეისარმა 627 წელს ნინევიაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სპარსელებზე. მან 630 წლის 21 მარტს(სხვა ვერსიით, 630 წლის 21 მარტს) ხოსროს მიერ იერუსალიმიდან გატაცემული ცხოველმყოფელი ჯვარი წმინდა მიწაზე დააბრუნა. ამ ამბიდან დაახლ. ორი საუკუნის შემდეგ შეიქმნა ლეგენდა, რომელიც 800 წლით დათარიღებულ ლათინურ ტექსტშია შეტანილი: "როცა ბრწყინვალე ცხენზე ამხედრებული, საიმპერატორო სამოსში გამოწყობილი იმპერატორი ზეთის ხილის მთიდან მოვიდა და ქალაქში შესვლა სწორედ იმ კარიბჭიდან განიზრახა, საიდანაც ერთ დროს ჩვენი მაცხოვარი საწამებლად შეაბიჯა, მოულოდნელად კარიბჭის ლოდები ჩამოინგრა და კედელი აღიმართა. იმპერატორი და მისი მხლებლები გაოცდნენ. შეძრწუნებულებმა თვალი ზეცას მიაპყრეს და ცეცხლოვან ბრწყინვალებაში მოელვარე ჯვრის გამოსახულება დაინახეს. უფლის ანგელოზმა ჯვარი კარიბჭის თავზე მოათავსა და ბრძანა: "როცა ზეციური და მიწიერი სამყაროს უფალი ამ კარიბჭეს გადიოდა, რათა ვნების საიდუმლოება აღესრულებინა, მას მეწამული სამოსი და დიადემა არ ამშვენებდა. არც ცხენი უთხოვია მისაბრძანებლად, არამედ მოკრძალებულად, ვირზე ამხედრდა.

ხოსროს II ფარვიზის (570-628 წ.წ.) მიერ იერუსალიმის აღება და ქრისტიანთა უდიდესი სიწმინდის, ძელი ჭეშმარიტის ირანში წაღება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯუანშერ ჯუანშერიანი წერს: „მას ჟამსა მანვე მეფემან ქასრე (იგულისხმება ხოსრო II ფარვიზი-გ.ს.) წარმოტყუენა იერუსალიმი და წარიყვანა ძელი ცხოვრებისა; და შემდგომად ამისსა აღიღო ღმერთმან ხელი წყალობისა ქასრესგან; შეიპყრა იგი ძემან თჳსმან, შესუა იგი საპყრობილესა, და მოკუდა სენითა ბოროტითა. ხოლო ამის სტეფანოზის-ზე მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოხრდებოდა და კალა აშენდებოდა. და ძმა სტეფანოზისი, სახელით დემეტრე, აღაშენებდა ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა. რამეთუ სენიცა იყო მის თანა ბოროტი, და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა. და სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა, და დაჯდა იგი ტფილისს, და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა. ხოლო შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა გამოჩნდა საბერძნეთს კაცი ერთი, თჳსი მავრიკ კეისრისა, სახელით ერაკლე. ამან მოკლა ფოკას კეისარი, და დაიპყრა საბერძნეთი. განძლიერდა იგი და მიიყვანნა დასავლეთით თურქნი, და შეკრიბნა სპანი ურიცხუნი, და წარმოემართა სპარსეთად ძებნად ძელისა ცხოვრებისასა. და მოვიდა პირველად ქართლს“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 223-224). როგორც ჩანს, ჰერაკლე კეისრის მიერ სპარსთაგან წმინდა ჯვრის დახსნის და იერუსალიმში დაბრუნების ამბავი საყოველთაოდ იყო ცნობილი და ის არა მხოლოდ ჯუანშერის, არამედ სუმბატ დავითის ძის თხზულებაშიც გვხდება. „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთას“ ავტორი წერს: „ხოლო მან ჯიბღუ წარიღო კალა და ციხე იგი ტფილისისა გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა. და დრაჰკანითა პირი აღუვსო ამისთვს, რამეთუ თქუა სადიდებელი იგი მეფის ერეკლესი. ხოლო კადრებისა მისთჳს ტყავი გაჰჴადა და მეფესა მისწია იგი გარდაბანს ვარაზ გაგელისსა. და გარდაბანით მეფემან მიცვალა ლალს, და უწოდა მეწეკევნელთა მთავარსა, ნათელსცა და წარვიდა ბაღდადს. და გამოიღო ბაღდადი, და შეიპყრა ხუასრო მეფე, და მოაღებინა ძელი ცხოვრებისა. და იწყო შენებად იერუსალიმისა, და დასუა მოდისტოს პატრიარქად და წარმოემართა აქათვე, და მოვიდა წელსა მეშვდესა და ვიდრე მოსვლადმდე მისსა ტფილისის ეკლესია სიონი განესრულა, ხოლო ჯუარის ეკლესიასა აკლდა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 375). ჯუანშერ ჯუანშერიანის

ამით მან თავის მოციქულებს თავმდაბლობის მაგალითი მისცა. ანგელოზი ამ სიტყვების შემდეგ უმალ ზეცაში დაბრუნდა. იმპერატორმა ანგელოზის გამოცხადების გამო უფალი ადიდა, თავისი საიმპერატორო ღირსების აღმნიშვნელი ინსიგნიები მიწაზე დაალაგა და ფეხშიშველი, ტილოს ქსოვილის ამარა გაემართა კარიბჭისკენ. იმპერატორის ასე თავმდაბლად მიახლებისთანავე, ზეციური ბრძანებით, კარიბჭე თავდაპირველ სახეს დაუბრუნდა და იმპერატორი მიიღო. (Pohlsander, 2004: 19-20, 22). ჰ. პოლსანდერის აზრით, ეს ლეგენდა არ გვხვდება ბიზანტიურ ტექსტებში და ის დასავლეთიდან უნდა მოდიოდეს (Pohlsander, 2004: 23). მოგვიანებით, ამ გადმოცემამ არაერთ ევროპულ ლიტერატურულ ტექსტში იჩინა თავი. მათ შორის: XII საუკუნის ფრანგი პოეტის, გოტიე დარასის (Gautier d˜Arras) რომანსში; დომინიკელი ბერის მარტინ ტროპაუს (1220/1230-1278 წ.წ.) ლათინურენოვანი ქრონიკაში: “Chronicon Pontificum et Imperatorum;” იაკობ ვორაგინის (1228/1230-1298 წ.წ.) „ოქროს ლეგენდაში“ და სხვ. (Pohlsander, 2004: 23-25) ჰერაკლე კეისრის დიდ ღვაწლს-წმინდა ჯვრის იერუსალიმში დააბრუნებას ეძღვნება შუა საუკუნეების ევროპაში, არაერთ ქრისტიანულ ტაძარში შექმნილი ფრესკული ნამუშევრები. მაგ: ფრაურომბახის ეკლესიაში შემორჩენილი კედლის მხატვრობა (აღმოაჩინეს 1901 წელს); ფლორენციაში, სანტა კროჩეს ეკლესიაში შესრულებული ფრესკები(თარიღდება 1380 წლით), რომლებიც ანიოლ გადის მიეწერება. აქ არის წარმოდგენილი როგორც წმინდა ჯვრის აღმოჩენის, ისე ჰერაკლეს მიერ სიწმინდის ირანელთაგან დახსნის და იერუსალიმში შებრძანების სცენები. ჰერაკლესაგან ჯვრის დახსნის ეპიზოდს ვხვდებით ასევე, ლუვრში დაცულ პანელზე, რომლის ავტორი გახლავთ 1416-1469 წლებში მოღვაწე მხატვარი(მიკელე დი მატეო ბოლონიელი, ან მიკელე დი მატეო ლამბერტინი) Michele di Matteo da Bologna, ან Michele di Matteo Lambertini; ამავე თემაზეა შექმნილი სიენაში (იტალია), Museo del˜Opera dei Duomo-ში განთავსებული რვა პანელი, ისინი მხატვარ ბენედიტო დი ბონდოს მიეწერება და 1412 წლით თარიღდება და სხვ. (Pohlsander, 2004: 27, 30, 32).

ცნობას იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „შემდგომად აღდგა ერეკლე და შეიპყრა ფოკა კეისარი და დაწვა იგი ცეცხლითა და თჳთ გაკეისრდა. შეიკრიბა სპანი ურიცხუნი და წარმოვი/და ძიებად ჯუარისა ცხოველისად და პირველად მოვიდა ქართლს“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 121).

ირანელთან ნაალაფარი ცხოველმყოფელი ჯვრის დაბრუნებით ჰერაკლე კეისარს ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი ავტორიტეტის მოპოვება სურდა. ჰერაკლე არა მხოლოდ ხოსროს მიერ წაღებულ ძელი ცხოვრებისას ეძებდა, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ ცხოველმყოფელი ჯვრის დანარჩენ ნაწილებს და, ასევე, მაცხოვრის წამებასთან დაკავშირებულ სხვა სიწმინდეებსაც. როგორც ჩანს, მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ „ფიცარი ფერხთა“ და სამსჭვალები მანგლისსა და ერუშეთში ინახებოდა. კონსტანტინეს მიერ ქართლის მეფის მირიანისთვის გამოგზავნილი რელიქვიები ჰერაკლე კეისარმა წაიღო, რასაც ქართველების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ჰერაკლეს მიერ ქართლის მმართველად დანიშნულმა ადარნასემ ბიზანტიის გვირგვინოსანს სიწმინდეების დატოვება სთხოვა, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია: „ხოლო ერაკლე მეფე შევიდა სპარსეთს, და მოკლა ხუასრო მეფე, და წარიღო ბაღდადი, და წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა. უკმოიარა გზა ქართლისავე მეშვდესა წელსა, რაითგან ჩაევლო. და ეკლესია ჯუარისა პატიოსნისა და სიონის ტფილისისა განესრულეს ადარნასე ქართლისა მთავარსა. მაშინ ერაკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭვალნი უფლისანი ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს კონსტანტინესგან მირიანისდა. შეწუხნა ადარნასე, ქართლისა მთავარი, და ევედრებოდა კეისარსა, რათა წარიხუნეს ნიჭნი იგი ღმრთისა-მიერნი. არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი და წარიხუნა“ ((ქართლის ცხოვრება, 1955: 227-228). ჰერაკლე კეისრის მიერ მანგლისიდან „ფერხის ფიცარის“, ასევე ერუშეთიდან სამსჭუალის წაღების შესახებ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილიც გვაწვდის. ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი წერს, რომ ჰერაკლემ სპარსეთში ლაშქრობის დროს ჯვარი პატიოსანი წამოიღო. კეისარი საქართველოში შეყოვნდა და ერისმთავარ ადარნასეს თხოვნის მიუხედავად ზემოთ ნახსენები სიწმინდეებიც თან გაიყოლა: „ხოლო კეისარმან მოსტყუევნა სპარსეთი, მოკლა ქასრე და წარმოიღო ჯუარი პატიოსანი და მოვიდა კუალად ქართლს და განავლინა ქადაგნი, რათა შევიდნენ ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა და სხუანი ურწმუნონი გარე მოისრნენ; არამედ ურწმუნონიცა შეერივნენ ქრისტიანეთა თანა და არა ინებეს ქრისტიანე-ყოფად. მაშინ მიავლინა კეისარმან მახჳლი და მოსრნა, რამეთუ მდინარენი სისხლისანი სდიოდნენ ეკლესიით-გამო და განსწმიდა სჯული ურწმუნოთაგან; შევლო და წარიღო მანგლისიდამ ფერხის ფიცარი უფლისა და ერუშეთიდამ სამსჭუალი. ამათთჳს ევედრა ადარნასე მთავარი, რათა არა მიუხუანას ნიჭნი ესე, არამედ არა უსმინა და წარუხუნა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 122-123). როგორც ვხედავთ, ქართულ წყაროებში ჰერაკლეს მიერ მხოლოდ „ფიცარი ფერხთას“ და სამსჭვალების წაღებაზეა საუბარი და არ არის ნახსენები ძელი ცხოველი. რატომ დატოვა საქართველოში ამ უდიდესი სიწმინდის ნაწილი ჰერაკლე კეისარმა, მაშინ როცა ადარნასეს მრავალგზის თხოვნის მიუხედავად „ფიცარი ფერხთა“ თან წაიღო? არ გამოვრიცხავთ, რომ ბიზანტიის კეისარმა საქართველოში არსებულ ჭეშმარიტი ჯვრის ნაწილად მხოლოდ „ფიცარი ფერხთა“ მიიჩნია, ხოლო აქ არსებულ კიდევ ერთ სიწმინდეზე, ძელი ცხოველის ნაწილზე, მას არ ჰქონდა ინფორმაცია. ჰერაკლეს რომ „ფიცარი ფერხთას“-სთან ერთად ძელი ცხოველის ნაწილიც წაეღო ქართველ მემატიანეებს ეს ფაქტი არ გამორჩებოდათ. ძალიან საინტერესოა, რომ არსებობს გადმოცემა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ქართულ ნარატიულ წყაროებში არსებულ ცნობებთან. ამ გადმოცემის თანახმად ჰერაკლე კეისარმა ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, თითქოს ქართველებს მოკავშირების გამო გადასცა. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის პლატონ იოსელიანი: „ხოსროს მიერ იერუსალიმიდან წაღებული(იგულისხმება ირანის შაჰის ხოსრო მეორე ფარვიზის მიერ იერუსალიმის აღება 614 წელს და იქიდან მაცხოვრის წმინდა ჯვრის წაღება-გ.ს.)ქრისტეს

ჯვრის სპარსული ტყვეობიდან დახსნის ეპოქაში იმპერატორი ირაკლი აბხაზთა, ქართველთა, ლეკთა და შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენელთაგან შემდგარი ლაშქრით თბილისის კედლებთან მოვიდა. კავკასიის დედაქალაქში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის გმირი მეფე ერთმორწმუნეობისა და მოვლენისათვის შესაფერი პატივით მიიღეს...სპარსეთი დამარცხებულია; ცხოველმყოფელი ჯვარი დახსნილია. მართლმადიდებელმა ქართულმა სამეფომ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამ წმინდა ომში, იმპერატორისაგან და ბიზანტიელ იერარქთაგან ძღვნად მიიღო ამ ცხოველმყოფელი ხის ნაწილი, რომლის მოცულობამ განაცვიფრა დასავლეთიც და აღმოსავლეთიც, და ღვთისმშობლის სამოსელის ნაწილიც, რომელმაც დედაქალაქი(ბიზანტიისა)დაღუპვას გადაარჩინა იმპერატორის იქ არ ყოფნისას(626 წ.), რის გამო შეთხზული იქნა აკაფისტი. ორი ნაწილი ამ წმიდათა წმიდა ხისა ამშვენებდა ალავერდისა და ნიქოზის ტაძრებს, ხოლო სამოსელის ნაწილი ვლახერნის ხატს სამეგრელოში;...ნაწილი ამ ხისა გადარჩა და ახლაც ალავერდის ეკლესიაში ინახება, მაგრამ ის ნაწილი, რომელიც ნიქოზის ეკლესიაში იყო დაცული, 1798 წ. დაიკარგა“ (ვათეიშვილი, 2013: 455; Иоселиани, 1866: 14, 17). თუ ეს გადმოცემა სანდო წყაროს ეყრდნობა, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ჰერაკლემ ჯვრის ნაწილი კი არ გადასცა ქართველებს, არამედ საქართველოში უკვე არსებული ძელი ცხოველის ნაწილი დაუტოვა თავის პოლიტიკურ მოკავშირეებს, ხოლო ის ნაწილი რაზეც ჯვარცმისას მაცხოვარს ფეხები ჰქონდა დალურსმული, სამსჭვალებთან ერთად წაიღო. XII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, როდესაც დავით აღმაშენებლის ქვრივი იერუსალიმში მონაზვნად აღიკვეცა და თან წაიღო მეუღლის ნაქონი ჯვარი, მაცხოვრის საფლავზე მოღვაწე კათოლიკე ბერის, ანსელუსის ცნობით ეს ჯვარი ორი ნაწილისაგან შედგებოდა და მათგან ერთი იმ ხის ფრაგმენტი იყო, რომელზეც ჯვარცმულ მაცხოვარს ფეხები ჰქონდა დალურსმული (ავალიშვილი, 1989: 17). უნდა ვივარაუდოდ, რომ თავის დროზე, ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინეს მიერ ქართლის მეფის, მირიანისათვის გამოგზავნილი „ფიცარი ფერხთა“ მოგვიანებით დაანაწილეს. მიუხედავად იმისა, რომ ჰერაკლემ ეს სიწმინდა ქართველებს წაართვა, საქართველოში მისი რაღაც ნაწილი დარჩა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დავითის გულსაკიდ ჯვარში ვერ ჩაატანდნენ. ამრიგად, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ცხოველმყოფელი ჯვრის ორი ნაწილი ჩამოაბრძანეს, ძელი ცხოველის ნაწილი და „ფიცარნი ფერხთა“. აქედან, პირველად პიზანტიის საიმპერატორმა კარმა, კერძოდ, დედოფალმა ელენემ ქართლის განმანათლებელ ნინოს უძღვნა ძელი ცხოველის ნაწილი, რომელიც, სავარაუდოდ, მცხეთაში დააბრძანეს. ბიბლიური ხის გავლენით უნდა შექმნილიყო სვეტიცხოვლის აგების ლეგენდა, რომელიც დაკავშირებულია წმინდა ხის მოჭრასთან. სვეტიცხოვლის აშენების ამბავს ძელი ცხოვრების შესახებ არსებულ გადმოცემებს უკავშირებდა ზ. ავალიშვილი. მკვლევარი წერს: „სვეტი ცხოველის ამბავი წმინდა მწიგნობრული ლეგენდაა? იქნებ მის კულტში ძველ ხეთა თაყვანისცემის გამოძახილი გვაქვს, ანუ სწორედ სვეტის სხვაგანაც ცნობილი წარმართული გათაყვანების კვალი აქ ძელი ცხოვრების აზრს უერთდება? ყოველ შემთხვევაში ცხადია, ქრისტეს ჯვარის გაღმერთების ერთნაირი მიბაძვა: სვეტი ცხოველიდანაც ჯვრებს სჭრიდნენ, როგორც ძელი ცხოვრებისიდან, და თითქმის განგებ უნდოდათ სახე ჯვარისა მიეცათ მისთვის. თორემ მისი პირველი სახე სვეტისა-ხისა-ქრისტეს ხომ არაფრით მოაგონებდა. შესაძლებელია, რომ ამგვარად ძველი წარმართული სვეტის გაქრისტიანებაც მოხდა. როცა კი მისგან ჯვრები გამოსჭრეს და ეკლესიებს დაურიგეს(ეს სულ „ქართლის ცხოვრებაშია“-ა!)მაშინ ვინ იცის რაიმე ეროვნული ადგილობრივი რწმუნება და კულტის ტრადიცია საბოლოოდ ქრისტიანულ სიმბოლიკას შეურიგეს. ეს უკვე გაწრთვნილი და გამოცდილი სამღვდელოების გამარჯვება იქნებოდა. მაგრამ ამნაირად სვეტი ცხოველის განაწილება და მისი თაყვანისცემის გავრცელება საქართველოში იმას არ იმეორებს, რასაც „ძელი ცხოვრებისა“ საერთოდ საქრისტიანოში

ასრულებდა? ამ მხრივ უნდა ავღნიშნოთ, რომ სწორედ ანსო ხუცესის(იგულისმხმება ზემოთ ნახსენები მაცხოვრის წმინდა საფლავზე მოღვაწე კათოლიკე ბერი-გ.ს.) წერილში აღწერილია ქრისტეს ჯვარის განაწილება და ეკლესიათა შორის დარიგება. ვგონებ, რომ ამ შემთხვევაში ქართული სვეტი ცხოველის გადმოცემა იესო ქრისტეს ჯვარის თქმულებათა გავლენას განიცდის“ (ავალიშვილი, 1989: 13-14). ქართულ სინამდვილეში ბიბლიურ ხემ, რომელიც მარადიული ცხოვრების სიმბოლოს განასახიერებდა და საიდანაც ცხოველმყოფელი ჯვარი შეიქმნა, სავარაუდოდ ხის კულტი ჩანაცვლა, რომელიც ხეთური სამყაროდან უნდა შემოსულიყო. აღსანიშნავია, რომ ხეთურ მითოლოგიურ ტექსტებში, კანონებსა და განსაკუთრებით კი „თელეფინუს მითში“ ხშირად იხსენიება “Gis eja“-მარადმწვანე ხე. მკვლევართა ერთი ნაწილი მას აიგივებს ნაძვთან, ნაწილი-მუხასთან, ზოგიერთი მეცნიერი კი მიიჩნევს, რომ ის ითარგმნება როგორც მარადმწვანე ხე. თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის აზრით, “Gis eja“ იგივე ურთხელია. მითითებულმა მკვლევრებმა მისი კვალი დაინახეს ინდოევროპულ ენებში (ხაზარაძე & მგალობლიშვილი, 1999: 5). რიგ ინდოევროპულ ხალხებში მარადმწვანე ურთხელი სიკვდილის შემდეგ მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ ითვლება. ხეთების რწმენა-წარმოდგენებში “Gis eja“-მარადმწვანე მცენარე, სწორედ მარადიულობას განასახიერებდა. ის ხეთური მოკვდავი და აღორძინებადი ღვთაება თელეფინუს წმინდა ხე იყო (ღამბაშიძე & ღამბაშიძე, 2023: 429). როგორც ნ. ხაზარაძე და თ. მგალობლიშვილი აღნიშნავენ: „...“Gis eja“ -მარადმწვანე ხე იყო. იგი მარადიულობას, ულევ სასიცოცხლო ძალას, ნაყოფიერებას, გამრავლებას, მოკვდავ და აღორძინებად ბუნებას და თავისუფლებას ასახიერებდა.“ (ხაზარაძე & მგალობლიშვილი, 1999: 8) საქართველოში ხის კულტი უძველესი დროიდან არსებობდა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში წმინდა ხეებად ითვლებოდნენ: მუხა, ცაცხვი, ტირიფი, იფნი, ალვა, ნაძვი, ფიჭვი, სხვ[7]. (ხაზარაძე & მგალობლიშვილი, 1999: 8). მარადმწვანე ურთხელის კულტი დასტურდება მთიან სამეგრელოსა და ფშავში. სამეგრელოში არსებობდა საგაზაფხულო დღესასწაული „ურთხაობა“. მარადმწვანე საკულტო ხეს მლოცველები ოჯახის ბედნიერებას და ჯანმრთელობას შესთხოვდნენ. (ხაზარაძე & მგალობლიშვილი, 1999: 9) ურთხელს თაყვანს სცემდნენ ფშავშიც. მას სალოცავთან რგავდნენ, ზოგჯერ კი საფლავებთან, რაც მარადიულ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული (ხაზარაძე & მგალობლიშვილი, 1999: 11-12). ძალზე საინტერესოა, რომ ქრისტიანული ტრადიციით, მცხეთაში, იმ ადგილზე, სადაც მაცხოვრის კვართი იქნა დაკრძალული ლიბანის ნაძვი (მარადმწვანე მცენარე) იყო ამოსული. ლეონტი მროველი ნინოს ცხოვრებაში წერს: „შემდგომად მრავალთა წელიწადთა ძისწულის შვილმან ადერკი მეფისამან, მეფემან არმაზაელ, ძიება ყო სამოსლისა მის ჰურიათა თანა და არა პოვა. რამეთუ აუწყეს ესე ყოველი, რომელი იყო, და არავინ უწყის ადგილი იგი თჳჳნიერ ამისა, რომელ „არს მახლობელად ნაძჳჳსა მის ლიბანით მოღებულისა და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 100-101). ლეონტი მროველის ცნობით, როდესაც მირიანმა ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა განიზრაზა: „ და მოჰკუეთა ნაძჳ იგი და ნაძჳსა მისგან შემზადნა შჳდნი სუეტნი ეკლესიისანი. და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა, და აღმართნეს ექუსნი იგი სუეტნი თჳს-თჳსად, ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკჳრელ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესაგდებელად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 112). საბოლოოდ, წმინდა ნინოს მხურვალე ლოცვის შემდეგ ნაძვისაგან დამზადებული სვეტი ზეციური ძალით თავის ადგილს დაუბრუნდა: „და ჭაბუკმან მან შეჰყო ჴელი სუეტსა მას და აღმართა და წარიღო სიმაღლესა შინა....“ მცირე ხნის შემდეგ კი „იხილეს მათცა სუეტი იგი, ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძვსასა“ (ქართლის

[7] ხის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული საქართველოში გავცელებული გვარები: რცხილაძე, მუხაძე, ურთქმელიძე (ურთხმელიძე) და სხვ.

ცხოვრება, 1955: 114). არსენ იყალთოელი აღწერს რა წმინდა ნინოს ცხოვრებას, მიუთითებს, რომ იმ ადგილზე, სადაც მაცხოვრის კვართი იყო დაკრძალული „ხე იგი კვიპაროზი მდგომარე იყო და ქვეშე მისსა იყო სურნელება ყვავილთა, რომელი-იგი სამარადისოდ ყოველთა მიერ იყნოსებოდა“ (ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978: 377). ამის შემდეგ არსენ იყალთოელი სასწაულის შესახებ გვიამბობს. ტაძრის ასაშენებლად მირიან მეფემ მაცხოვრის კვართის დაკრძალვის ადგილზე ამოსული კვიპაროსი მოაჭრევინა და მისგან დამზადებული სვეტი უნდოდათ „სხვასა ერთ-კერძოსა ტაძრისასა“ აღემართად, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს. წმინდა ნინოს ლოცვის შემდეგ გამოეცხადათ ცეცხლოვანი ჭაბუკი, რომელმაც კვიპაროსის სვეტი ღვთაებრივი ძალით თავისივე ადგილზე დააბრუნა[8] (ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978: 377). „მოქცევაი ქართლისაჲ“ ამ სასწაულის შესახებ ძალზე ლაკონურად გვამცნობს, ოღონდ ძეგლში მარადმწვანე ხე ნახსენები არ არის: „და მეშჳდესა წელსა არწმუნა მეფესა სასწაულითა ქრისტემიერითა. და მსწრაფლ აღაშჱნა ეკლესიაჲ ქუემო სამოთხესა შინა, ძელისაჲ, და სუეტი იგი იყო ძელისაჲ, რომელი თჳთ აღემართა“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 2007: 13). სვეტიცხოვლის ლეგენდის საფუძველი როგორც ზ. ავალიშვილიც მიუთითებდა, შესაძლებელია, საქართველოში უძველესი დროიდან არსებული მარადმწვანე ხის კულტი ყოფილიყო. ჩვენი აზრით, ის, ქართლში სავარუდოდ, მესხური ტომებს უნდა შემოეტანათ, მათ სახელს უნდა უკავშირდებოდეს „მცხეთაც,“ მესხთა დასახლების ადგილიც[9], რომელიც რელიგიური ცენტრი გახდა. მარადმწვანე, ღვთაებრივი ხის თაყვანისცემის ტრადიციის ფესვები კი ხეთური სამყაროშია.[10]

დასკვნა. ქრისტიანობამდელი უძველესი გადმოცემები მცხეთაში მარადმწვანე წმინდა ხის შესახებ, მოგვიანებით, ქრისტიანული ლეგენდით იქნა ჩანაცვლებული, თანაც ისე, რომ კვლავ მარადმწვანე ხე იყო ამ ლეგენდის მთავარი სიმბოლო.[11] მცხეთაში წმინდა

---

[8] ლეონტი მროველის ცნობისაგან განსხვავებით არსენ იყალთოელს მითითებული აქვს, რომ კვიპაროსი იდგა იმ ადგილზე სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი იყო დაკრძალული, ამ ორ მემატიანის ცნობებს შორის კიდევ ერთი განსხვავება ის არის, რომ ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით მირიანმა მოჭრილი ნაძვისგან შვიდი სვეტი დაამზადებინა და სწორედ მეშვიდე სვეტი დააბრუნა მოჭრის ადგილზე, ხოლო არსენ იყალთოელთან მხოლოდ ერთ სვეტზეა საუბარი.

[9] გ. ჩიქოვანი განმარტებით, ქართლის ძველი დედაქალაქის-მცხეთის სახელი ეტიმოლოგიურად მესხებთანაა დაკავშირებული. მკვლევარი წერს: „ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ეთნოსის სახელი მუშქი, მოსოხი, მესხი მცირე აზიის სხვადასხვა რეგიონში გავრცელდა შუამდინარეთიდან ამ ეთნიკური ჯგუფის დიდი ნაწილის გამოსვლის შემდეგ, რაც მიგრაციის ფართო მასშტაბით აიხსნება. ამ პერიოდში, შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ, აღმოსაველთ ნაწილში, ფიქსირდებიან მეშეხები-მესხები,-მოსოხები. ისინი ეთნიკურად ქართებს-ქართველებს წარმოადგენდნენ. მესხებმა დიდი როლი ითამაშეს აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართლის დედაქალაქის სახელი-მცხეთა ეტიმოლოგიურად მესხებთანაა დაკავშირებული.“ (ჩიქოვანი, 2024)

[10] საინტერესოა, რომ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნების გავრცელების შემდეგ წარმართული სალოცავები ახალი, ქრისტიანული ტაძრებით იქნა ჩანაცვლებული, თან ისე, რომ ერთგვარი შინაარსობრივი თანხვედრა ყოფილიყო. ხალხში ჩალექილი წეს-ჩვეულებები ქრისტიანული შეფერილობის გახდა. მაგ. წმინდა გიორგიმ ჩაანაცვლა მთვარის სალოცავები. იხ. (ჯავახიშვილი, 1960: 48-59); ისევე როგორც ელია წინასწარმეტყველმა შეცვალა ამინდის ღვთაება ტაროსი, რომელსაც ფესვები ხეთურ წარმართულ პანთეონში აქვს. (Sosiashvili & Mgebrishvili, 2024)

[11] ქრისტიანული სალოცავების გვერდით, თითქმის ყველგან გვხვდება მუხები. მუხა დღემდე წმინდა ხედ ითვლება. მორწმუნეები ხშირად ამ ხეებს ეთაყვანებიან და სხვადასხვა ფერის ნაჭრებით რთავენ. მუხის მოჭრა დიდ ცოდვად ითვლება. ამ ტრადიციას წინარე ქრისტიანულ სამყაროში აქვს ფესვები და ის ხის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. მუხის, ხის კულტის ერთ-ერთი სიმბოლოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს საქართველოში შემორჩენილი არაერთი

ხის მოჭრის ქრისტიანული თქმულებაში გაერთიანდა ადრინდელი წარმართული წმინდა ხის ლეგენდა და ასევე ქართლის გაქრისტიანების შემდეგ გავრცელებული გადმოცემა ბიბლიური ხის შესახებ, ხოლო სვეტიცხოველი კი ძველ აღთქმაში მოხსენიებული სოლომონის ტაძრის მიბაძვით აიგო. ამ მიბაძვაში, როგორც მ. სურგულაძე მიუთითებს, არქიტექტურული სიმბოლიკა იგულისხმება-სალოცავში სოლომონისეული ტაძრის მსგავსად ღვთისგამოჩინების ნიშნად ქცეული ადგილის გამოყოფა და ეს უნდა ყოფილიყო ცხოველმყოფელი სვეტი (სურგულაძე, 2016: 15-16). ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს მიერ საქართველოში გამოგზავნილი ჭეშმარიტი ჯვრის ნაწილი მცხეთაში, ამ უდიდეს საკრალურ ადგილზე უნდა დაებრძანებინათ, ხოლო მეორე -„ფიცარნი ფერხთა“კი როგორც მივუთითებდით, ინახებოდა მანგლისში, რომელიც შემდეგ ჰერაკლე კეისარმა წაიღო, თუმცა მისი ერთი ნაწილი საქართველოში დარჩა და, მოგვიანებით, დავით აღმაშენებლის გულსაკიდ ჯვარში იქნა ჩატანებული.

გამოყენებული ლიტერატურა

ავალიშვილი, ზ. (1989). *ჯვაროსანთა დროიდან.* თბილისი.

არსენ იყალთოელი. (1978). ცხორება და მოქალაქობა ნინოჲსი. *ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები.* თბილისი.

ბაგრატიონი, თ. (1848). *ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა.* სანკტ-პეტერბურგი.

ბუბულაშვილი, ე. (2006). *საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები.* თბილისი.

დადიანი, ნ. (1962). *ქართველთ ცხოვრება.* ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი.

ვათეიშვილი, ჯ. (2013). XIII საუკუნის ფრანგული წარმომავლობის საბუთი: თამარ მეფის განსასვენებლის დადგენის საკითხისათვის. კრებ. *ქართული დიპლომატია, წელიწდეული.* #16. თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი.

ლამბერტი, ა. (2020). *წმინდა კოლხეთი.* იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ. თბილისი.

მოქცევაჲ ქართლისაჲ. (1963). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. (V-X ს.ს.). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი.

მოქცევაჲ ქართლისაჲ. (2007). ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები. „მოქცევაი ქართლისაჲ“-ის ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი.

საბინინი, გ. (2010). *საქართველოს სამოთხე.* (შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინინის მიერ, პეტერბურღი, 1882 წელი). თბილისი.

ონომასტიკური ერთეული. მაგ. ჭყონდიდი (მეგ. დიდი მუხა); აღმოსავლეთ საქართველოში მუხიანი, მუხნარი, მუხათგვერდი და სხვ. სავარაუდოდ, თითქმის ყველა მათგანი წარმართული ხის კულტის სალოცავების და მათთან ახლოს არსებული დასახლებების აღმნიშვნელი ტოპონიმი უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით, ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა რელიგიური ცენტრის ფუნქცია. წარმართული სალოცავი ქრისტიანულმა ჩაანაცვლა, ზოგი კი მხოლოდ ადგილის სახელწოდების სახით დარჩა ქართულ ენაში.

სურგულაძე, მ. (2016). *მცხეთის სახლი.* თბილისი.
ქართლის ცხოვრება. (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი.
ღამბაშიძე, მ., & ღამბაშიძე, ნ. (2023). *ძველანატოლიური მითები და ზღაპრები.* https://www.researchgate.net/publication/387812584_ANCIENT_ANATOLIAN_MYTHS_AND_TALES_dzvelanatoliuri_mitebi_da_zghaprebi
ჩიქოვანი, გ. (2024). ეტიმოლოგიური პარალელები: მცხეთა – მასხითა/მაშკითა - დიმაშკ. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო.* XV. https://www.academia.edu/122532339/ეტიმოლოგიური_პარალელები_მცხეთა_მასხითა_მაშკითა_დიმაშკ_ETYMOLOGICAL_PARALLELS_Mtskheta_masḫītā_mašqītā_dimašq_
ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. (1978). თბილისი.
ხაზარაძე, ნ., & მგალობლიშვილი, თ. (1999). *წმინდა ხის კულტი საქართველოში.* თბილისი.
ჯავახიშვილი, ი. (1960). *ქართველი ერის ისტორია.* ტ. I.
Иоселиани, П. (1866). *Описание древностей города Тифлиса.* Тифлис.
Pohlsander, H. A. (2004). Helena, Heraclius, and the True Cross. *Online journal of The Rocky Mountain Medieval and Renaissance Association.* Vol. 25. https://scholarsarchive.byu.edu/rmmra/vol25/iss1/5
Sosiashvili, G., & Mgebrishvili, A. (2024). From the History of the Religious life of the Ossetians, an Ethnic Minority Living in Georgia (Goat Cult Associated with St. Elijah). *Occasional Papers on Religion in Eastern Europe*: Vol. 44. Iss. 9, Article 7. https://digitalcommons.georgefox.edu/ree/vol44/iss9/7/

REFERENCES

avalishvili, z. (1989*). jvarosanta droidan [From the Times of the Crusaders]*. Tbilisi.
arsen iqaltoeli. (1978). tskhoreba da mokalakoba ninoᲝsi [Life and Civil Activities of Nino]. *dzveli kartuli lit'erat'uris dzeglebi [Monuments of Ancient Georgian Literature]*. Tbilisi.
bagrat'ioni, t. (1848). *ist'oria dats'qebitgan iveriisa, ese igi georgiisa, romel ars sruliad sakartvelosa [The History from the Beginning of Iveria, that is, Georgia, which is the Whole of Georgia]*. St. Petersburg.
bubulashvili, e. (2006). *sakartvelos ek'lesiis sits'mindeebi [The Relics of the Georgian Church]*. Tbilisi.
dadiani, n. (1962). *kartvelt tskhovreba [Life of Georgians]*. Text published, preface, research, comments, search terms and dictionary added by Sh. Burjanadze. Tbilisi.
vateishvili, j. (2013). XIII sauk'unis pranguli ts'armomavlobis sabuti: tamar mepis gansasveneblis dadgenis sak'itkhisatvis [A document of French origin from the 13th century: On the Issue of Determining the Resting Place of Queen Tamar]. In *kartuli dip'lomat'ia, ts'elits'deuli [Georgian Diplomacy, Tselitsadeuli]*. #16. Tbilisi.
vakhusht'i bat'onishvili. (1973). aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. *kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]*. Text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili. Vol. IV. Tbilisi.
lambert'i, a. (2020). *ts'minda k'olkheti [Holy Colchis]*. Translated from the Italian by Giorgi Tskitishvili; Text prepared for publication, research, explanations and search terms added by Davit Merkviladze. Tbilisi.
moktsevaᲝ kartlisaᲝ [The Conversion of Kartli]. (1963). dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi, I. (V-X s.s.) [Monuments of Ancient Georgian Hagiographic Literature, I. (V-X centuries)]. Under the direction and editorship of I. Abuladze. Tbilisi.
moktsevaᲝ kartlisaᲝ [The Conversion of Kartli]. (2007). akhladaghmochenili sinuri redaktsiebi [Newly Discovered Sinaitic Editions]. The Newly Discovered Sinaian Editions of "The Conversion of Kartli" were published and a preface was added by Zaza Aleksidze. Tbilisi.
sabinini, g. (2010). *sakartvelos samotkhe [Georgian Paradise]*. (shek'rebili khronologiurad da gamotsemuli p'et'erburghis sasuliero ak'ademiis k'andidat'is iverielis gobron (mikhail) p'avles

dzis sabininis mier, p'et'erburghi, 1882 ts'eli) [Compiled chronologically and published by the candidate of the St. Petersburg Theological Academy, Iverian Gobron (Mikhail) son of Pavle, Sabinin, St. Petersburg, 1882]. Tbilisi.

surguladze, m. (2016). *mtskhetis sakhli [Mtskheta house]*. Tbilisi.

kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]. (1955). Text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili. Vol. I. Tbilisi.

ghambashidze, m., & ghambashidze, n. (2023). *dzvelanat'oliuri mitebi da zghap'rebi [Ancient Anatolian Myths and Tales]*. https://www.researchgate.net/publication/387812584_ANCIENT_ANATOLIAN_MYTHS_AND_TALES_dzvelanatoliuri_mitebi_da_zghaprebi

chikovani, g. (2024). et'imologiuri p'aralelebi: mtskheta – maskhita/mashk'ita - dimashk' [Etymological Parallels: Mtskheta - masḫītā/mašqītā – dimašq]. *akhlo aghmosavleti da sakartvelo [The Near East and Georgia]*. XV. https://www.academia.edu/122532339/ეტიმოლოგიური_პარალელები_მცხეთა_მასხითა_მაშკითა_დიმაშq_ETYMOLOGICAL_PARALLELS_Mtskheta_masḫītā_mašqītā_dimašq_

dzveli kartuli lit'erat'uris dzeglebi [Monuments of Ancient Georgian Literature]. (1978). Tbilisi.

khazaradze, n., & mgaloblishvili, t. (1999). *ts'minda khis k'ult'i sakartveloshi [The Cult of the Sacred Tree in Georgia]*. Tbilisi.

javakhishvili, i. (1960). *kartveli eris ist'oria [History of the Georgian Nation]*. Vol. I.

Ioseliani, P. (1866). *Opisanie drevnostej goroda Tiflisa [Description of the antiquities of Tiflis]*. Tiflis.

Pohlsander, H. A. (2004). Helena, Heraclius, and the True Cross. *Online journal of The Rocky Mountain Medieval and Renaissance Association.* Vol. 25. https://scholarsarchive.byu.edu/rmmra/vol25/iss1/5

Sosiashvili, G., & Mgebrishvili, A. (2024). From the History of the Religious life of the Ossetians, an Ethnic Minority Living in Georgia (Goat Cult Associated with St. Elijah). *Occasional Papers on Religion in Eastern Europe*: Vol. 44. Iss. 9, Article 7. https://digitalcommons.georgefox.edu/ree/vol44/iss9/7/